

საქართველო - ყწირველეს ყოვლისა!
გელაქტიონი

ახალგორი

ახალგორის
მუნიციპალიტეტის
გაზეთი

№1(105)

იანვარი
2023 წელი

გამოდის თვეში
ერთხელ

საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2022 წლის ანგარიში



...ჩვენ ყველამ ერთად ძალიან რთული პერიოდი გავიარეთ... ევროპის კონტინენტზე უპრეცედენტო გამოწვევა და კრიზისია. უკრაინაში ომი, რა თქმა უნდა, ჩვენთვის ყველასთვის არის დიდი გამოწვევა. ამ ომმა დიდი გავლენა მოახდინა როგორც თავად ევროპის კონტინენტზე, ასევე, ჩვენს რეგიონზე, ჩვენს ქვეყანაზე, მთლიანად გლობალურ პოლიტიკაზე და შეიძლება ითქვას, რომ მთელი მსოფლიო დგას დიდი გამოწვევის წინაშე, რომელიც არ დამდგარა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ეს ჩვენ კარგად გვაქვს გააზრებული. ეს არის ურთულესი გამოწვევა, ამიტომ, ამ გამოწვევას სჭირდება ძალიან გონივრული მართვა და ჩვენ შესაბამისად ავანყეით ჩვენი პოლიტიკა. პირველივე დღეებიდან სწორი პოლიტიკა გავატარეთ და ამ პოლიტიკას ვახორციელებთ. მე არაერთხელ მითქვამს და ჩვენი გუნდის წევრების საერთო სულისკვეთება არის, რომ ჩვენი ამოცანა უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვა. სწორედ ამ მთავარი მოტივაციით, ამ იდეით ვმოქმედებთ და ვატარებთ იმ პოლიტიკას, რომელიც პირველ რიგში სჭირდება ჩვენს ხალხს და ჩვენი ხალხის ინტერესებს.

კიდევ ერთხელ მინდა, ჩემი მხარდაჭერა დაეუდასტურო უკრაინელ ხალხს, ვუსურვო მათ მშვიდობა, ამ ომის სწრაფად დასრულება. კიდევ ერთხელ ვადასტურებ ჩვენს მხარდაჭერას უკრაინის სუვერენიტეტისა და მათი დამოუკიდებლობის მიმართ.

...ჩვენმა ქვეყანამ არაერთი გამოწვევა დაძლია პანდემიის დროს, შემდეგ პოსტპანდემიურ პერიოდში. ჯერ კიდევ პანდემიიდან არ იყო ჩვენი ქვეყანა გამოსული და ახლა უკვე დაიწყო ეს დამანგრეველი ომი, თუმცა ჩვენ

გაგრძელება მე-4 გვერდზე

2023 უკეთესი წელი იქნება

2023 წლის დადგომას კეთილი სურვილებით გვილოცავს ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელი ნუგზარ თინიკაშვილი და გვესაუბრება გასულ წელს და ბოლო 9 წლის განმავლობაში ჩატარებულ ძირითად, მნიშვნელოვან პროექტებზე, მიღწეულ წარმატებებსა და სამომავლო გეგმებზე წეროვნის, ფრეზეთის და წილკნის დევენილთა დასახლებებში.



2-3

ახალგორის ბიზლიოთაქაა ქართველი მწერლების საჩუქარი მიიღო

9



„მინდა,
პროექტის
დასრულების
შედეგას
ბავაბრძელო
უს საქმიანობა“



„ქაინა ქითეპანი“ –
მუხრანბატონების იკოთის სასახლის
პრტი-პრტი პირველი მულობალი

10

2023 უკეთესი წელი იქნება

წ ე რ ო ვ ა ნ ი

პირველი გვერდიდან

– 2022 წელი, ისევე როგორც წინა წლები, იყო მეტ-ნაკლებად წარმატებული.

ახალგორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გაიზარდა 520 ათასი ლარით და შესაძლებელი გახდა როგორც საჯარო მოხელეების, ისე ა(ა)იპების თანამშრომელთა ხელფასების 10%-ით ზრდა. ასევე, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გასულ წელს ბაგა-ბაღის აღმზრდელ პედაგოგებს ხელფასები გაეზარდათ 50 ლარით, ხოლო 2023 წლისთვის ბაგა-ბაღის ყველა თანამშრომელს დაემატა 100 ლარი. დამატებით 2022 წლის ბიუჯეტს მცხეთა-მთიანეთის მხარის გუბერნატორის ბატონ დავით ნოზაძის თანადგომით დაემატა 100 000 ლარი, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით.

ძალზე მნიშვნელოვანია იაპონიის მთავრობის გრანტის თანხით მრავალფუნქციური ტრაქტორის შეძენა, რომელიც ემსახურება ფრეზეთის, წილკანისა და წეროვანის დასახლებებში საკანალიზაციო სანიტარულ და წყალმომარაგების პრობლემების აღმოფხვრას და ზამთრის პერიოდში ფრეზეთის მიმართულებით გზის განმედიტით სამუშაოებს.

გასულ 2022 წელს დაიწყო და ახლაც მიმდინარეობს წეროვანში ეკლესიის მიმდებარედ სკვერის მოწყობის სამუშაოები და წილკანში ბაგა-ბაღის მიმდებარედ მინი-სტადიონის რეაბილიტაცია და სკვერის მშენებლობა.

2023 წლიდან დაიწყება რაგბის სტადიონის მშენებლობა, მოეწყობა მე-16, მე-17 და მე-18 ქუჩებზე ასფალტის საფარი. ფრეზეთში მოეწყობა სკვერი და მინი სტადიონი, ასევე გვაქვს დიდი იმედი, რომ 2023 წელს აშენდება პოლიკლინიკა და სასწრაფოს შენობა. აქვე აღვნიშნავ, რომ კორონავირუსის პანდემიამ გამოიწვია ღრმა ეკონომიური კრიზისი, რამაც გავლენა ბუნებრივია საქართველოზეც იქონია. საჭირო ფინანსური რესურსის მოძიებისთანავე დაიწყება პოლიკლინიკისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარებისათვის შენობების პროექტების განხორციელება.

როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიაშვილმა აღნიშნა თავის ანგარიშში, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში მრავალი უმნიშვნელოვანესი პროექტი განხორციელდა, კიდევ ბევრია დაგეგმილი და ყველა სიკეთე, ყველა დოვლათი თანაბრად იქნება განაწილებული რეგიონებზეც. ასე იყო აქამდეც და თვალსაჩინოებისთვის **გაგაცნობთ 2014 წლიდან დღემდე „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პერიოდში წეროვანის, წილკანისა და ფრეზეთის დევნილთა დასახლებებში განხორციელებულ პროექტებს.**

1. აშენდა ახალგაზრდული სახლი.
2. ახალგაზრდულ სახლში გამოიყო ფართი და გაიხსნა სამოქალაქო სერვისების განვითარების სააგენტოს ახალგორის განყოფილება (საპასპორტო).
3. გაიხსნა ლიბერთი-ბანკის ფილიალი, რამაც მოსახლეობას მისცა საშუალება ადგილზე მიიღონ პენსია, დევნილის შემწეობა და განახორციელონ სხვადასხვა საბანკო ოპერაციები.
4. გაიხსნა სამედიცინო ლაბორატორია.
5. დამონტაჟდა საქართველოს ბანკის, თიბისისა და ლიბერთი ბანკების ბანკომატები ცენტრალურ ქუჩებზე.
6. 5,5 კილომეტრზე 2015-2017 წლებში მოეწყო კაპიტალური სანიაღვრე არხები.
7. 2019 წელს ამავე ქუჩებზე 5.5 კილომეტრზე დაიგო ასფალტის საფარი.
8. 2019 წელს განხორციელდა 6 კმ-მდე სანიაღვრეების მოწყობის სამუშაოები.
9. აშენდა სკვერი და მოეწყო ღია სცენა.
10. სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა მინი სტადიონს.
11. კაპიტალურად შემოიღობა სასაფლაოსთვის გამოყოფილი 4,5 ჰა ფართობი. აშენდა სველი წერტილები და გაყვანილი იქნა წყალი.
12. შევიძინეთ და განვათავსეთ 136 ურნა.
13. შევიძინეთ 1000 ცალი გარე-განათების ნათურა.
14. მოეწყო სარწყავი სისტემა. ლამი-მისაქციელის ცენტრალური სარწყავი მაგისტრალიდან 7 კილომეტრზე მოეწყო 310 მმ დიამეტრის სისტემის დახურული არხი და დაიქსელა 52 კმ-ზე 2000 ოჯახზე, თითოეულ ნაკვეთში დამონტაჟდა ონკანები.
15. წეროვანში შემოსასვლელთან დაიდგა წმინდა ნინოს მონუმენტი.
16. 2016 წელს გაიხსნა შშმ ბავშვთა ცენტრი.
17. განახლდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის ავტოპარკი.
18. 2013 წლიდან დღემდე თითქმის ყოველთვიურად ტარდება საქართველოს წამყვანი კლინიკების სპეციალისტების მიერ ადგილზე სხვადასხვა პროფილის გამოკვლევები, მკურნალობა და ოპერაციები. ამ მხრივ აღსანიშნავია თვალის კლინიკა „ოფთალმიჯის“ უპრეცედენტო დახმარება, 300-მდე ადამიანს ჩაუტარდა თვალის ოპერაცია ადგილზე მოძრავი კლინიკის მეშვეობით.
19. პანდემიის პირობებში ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ წეროვანის, წილკანისა და ფრეზეთის დასახლებებში 1567 ოჯახს გადაეცა სასურსათო დახმარება.
20. რეაბილიტაცია ჩაუტარდა სკოლის მიმდებარე გზის 120 მეტრიან მონაკვეთსა და დასახლებიდან მისასვლელ 100 მეტრიან გზას.
21. 2018 წელს ლიეტუვის მთავრობის მიერ გრანტის (საჩუქრის) სახით გადმოგვეცა მზის ბატარეები, რომელიც დამონტაჟდა წილკანის, წეროვანისა და ფრეზეთის დასახლებებში მდებარე საბიუჯეტო ორგანიზაციების შენობებზე. ჯამურად მივიღეთ 150 კილოვატი სიმძლავრე, რამაც გარკვეული ფინანსური რესურსის დაზოგვის საშუალება მოგვცა.
22. დაიწყო სკვერის მოწყობის სამუშაოები ეკლესიის მიმდებარედ.
23. დასრულდა წილკანი-წეროვანის 3,5 კმ-ი გზის მონაკვეთის მშენებლობა.



ახალგორის მუნიციპალიტეტის გაზეთი
რედაქტორი ანა ყურშავიშვილი
 კონტაქტი: ტელ: +995 593 501279
 mail: gazeti.akhalgori@gmail.com

სახალწლო საჩუქრები ახალგაზრდაებისთვის

მცხეთის მერის ინიციატივით, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 1800 ოჯახს საახალწლოდ სასურსათო პაკეტები დაურიგდათ. თითოეული პაკეტი 14 დასახელების პროდუქტისგან შედგებოდა.

აღნიშნული დახმარება გათვალისწინებული იყო უკიდურესად შეჭირვებული, მრავალშვილიანი, მარტოხელა, მოხუცთა თავშესაფრის, უფასო სასადილოს და დღის ცენტრების: „იალონი“, „მომავლის რწმენა“, ნილკანის და გალაგანის მცირე საოჯახო, წეროვნის დღის ცენტრის ბენეფიციარების, უსინათლოებისა და ვეტერანების, ასევე ფრეზეთში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის.

მცხეთის მერმა დიმიტრი ზურაბაშვილმა, ახალგაზრდის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნუგზარ თინიკაშვილმა, მისმა მოადგილემ გელა შერმადინმა და საკრებულოს დეპუტატმა ჯონი ბაშაშვილმა პირადად გადასცეს საჩუქრები ბენეფიციართა ნაწილს,



ახალი წლის დღეებში კი მონახულეს მუნიციპალიტეტის უზუცესი წევრი ყიდა მიდელაშვილი, დღესასწაული მიულოცეს და ნობათითაც გაახარეს.

ასევე, მცხეთის მერიამ გადასცა ახალგაზრდებს საახალწლო ნაძვისხე.

სამომავლო გეგმები

1. დაპროექტდა პოლიკლინიკა, გამოყოფილია ადგილი მშენებლობისათვის.
 2. დაპროექტდა რაგბის სტადიონი თავისი ინფრასტრუქტურით და დამხმარე შენობა-ნაგებობებით, რაგბის ფედერაციასთან ერთად მიმდინარეობს სპონსორების მოძიებაზე მუშაობა.
 3. დაპროექტდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების შენობა, გამოიყო ადგილი მშენებლობისთვის.
- შენიშვნა: კორონავირუსის პანდემიამ მსოფლიოში გამოიწვია ღრმა ეკონომიკური კრიზისი, რამაც გავლენა, ბუნებრივია, საქართველოზეც იქონია. საჭირო ფინანსური რესურსის მოძიებისთანავე დაიწყება პოლიკლინიკისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარებისათვის შენობების პროექტების განხორციელება.

ნ ი ლ ქ ა ნ ი

1. მოენყო ქაბურღილი.
2. ყველა ოჯახს (400 ოჯახი) აუშენდა სველი წერტილები.
3. შეყვანილი იქნა წყალი და დაუმონტაჟდა წყლის გამაცხელებელი.
4. აშენდა ბაგა-ბალი და აღჭურვა საჭირო ინვენტარით.
5. აშენდა მრავალფუნქციური დარბაზი და უახლოეს მომავალში აღიჭურვება ინვენტარით.
6. მოენყო კულტურისა და დასვენების პარკი, რომელსაც მიენიჭა ოკუპირებულ ცხინვალში წამებით მოკლული არჩილ ტატუნაშვილის სახელი.
7. აშენდა მინი-სტადიონი, დამონტაჟდა ტრენაჟორები.
8. მოასფალტდა ბაგა-ბალთან მისასვლელი ცენტრალური ქუჩა (500 მეტრი).
9. დამონტაჟდა და გაიხსნა სამედიცინო ამბულატორია.
10. დასრულდა ნილკანი-წეროვნის 3,5 კმ-ნი გზის მანაკვეთის მშენებლობა.
11. 2022 წელს დაიწყო ნილკანის მინისტადიონისა და სკვერის მოწყობის სამუშაოები და მიმდინარეობს მშენებლობა.

ფ რ ე ზ ე თ ი

1. აშენდა სველი წერტილი ყველა ოჯახისათვის (300 ოჯახი).

2. ყველა ოჯახს დაუმონტაჟდა წყლის გამაცხელებელი. 3. მოენყო 2 (ორი) ქაბურღილი ჯამური დეპუტით 250 ტონა დღე-რამეში.

4. დასრულდა დარბაზი და აღიჭურვა საჭირო ინვენტარით. 5. აშენდა ბაგა-ბალი 50 ბავშვზე .

6. დამონტაჟდა ბატარეები წყალსადენზე და საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის (ბაგა-ბალი და დარბაზი), რამაც მნიშვნელოვნად დაზოგა ფინანსები.

7. მოენყო სკვერი. 8. ახალგაზრდებს გადაეცა ფინური სახლი, რომელიც მათი თავშეყრის ცენტრად ჩამოყალიბდა.

9. სკოლისათვის აშენდა საპირფარეშო და მოგვარდა წყალმომარაგების პრობლემა.

10. 2016 წელს მოსახლეობასთან შეთანხმების გარეშე გასხვისდა ფრეზეთის მოსახლეობის სარგებლობაში არსებული 24 ჰექტარი საძოვარი, რომელიც ახალგაზრდის მინიციპალიტეტის ძალისხმევით დაუბრუნდა მოსახლეობას.

11. აშშ-ის საელჩოს მიერ მოენყო ახალი ქაბურღილი რომელიც დღე-რამეში 100 ტონა ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფს დასახლებას.

12. შეძენილი იქნა იაპონიის გრანტით მრავალფუნქციური ტრაქტორი, რომელიც უზრუნველყოფს ზამთრის პერიოდში გზის საფარის განმწმენდის და მოემსახურება ნილკანის, წეროვნისა და ფრეზეთის დასახლებებში სანიაღვრე, საკანალიზაციო და სასმელი წყლის სისტემების ხარვეზების აღმოფხვრას.

13. მოგვარდა გარეგანათების საკითხი სამივე დასახლებაში.

14. მოენყო ახალი ქაბურღილი და ფრეზეთის მოსახლეობამ დამატებით მიიღო დღე-ღამეში 10 ტონა ხარისხიანი სასმელი წყალი.

სამომავლო გეგმები

1. 2023 წელს აშენდება სტადიონი და სკვერი.

დასასრულს, მინდა ჩვენს მოსახლეობას პირველ რიგში ვუსურვო მშვიდობა. გასულ წელს დაწყებული ომი რუსეთ-უკრაინას შორის ქსნის ხეობელებმა განსაკუთრებულად განვიცადეთ, გულთან მივიტანეთ და შეძლებისდაგვარად გავუწიეთ დახმარებას. ვისურვებდი, მალე დასრულებულიყო ეს ომი.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2022 წლის ანგარიში

პირველი გვერდიდან

მოვახერხეთ საერთო ძალისხმევით, ჩვენს გუნდთან ერთად, პარლამენტთან ერთად, მთელმა ხელისუფლებამ, რომ ზედიზედ ორი წელია, ჩვენ გვაქვს 10%-იანი ეკონომიკური ზრდა, რაც, რა თქმა უნდა, ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ კონვერტირდება, ეს სიკეთე და კეთილდღეობა აისახება ჩვენს ქვეყანაზე, ჩვენს ხალხზე, საზოგადოებაზე.

წლის მთავარი მოვლენაა ევროკავშირის გადამწყვეტილება, რომლითაც საქართველოს მიენიჭა ევროპული პერსპექტივა, რომელიც მანამდე იყო ძალიან რთული წარმოსადგენი. ამ ომმა დააჩქარა პროცესები. ჩვენ ეს კარგად გვესმის. ჩვენ, რა თქმა უნდა, კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, ველოდებოდით, რომ მივიღებდით კანდიდატის სტატუსს, თუმცა, გვესმის, რომ ეს იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება მხოლოდ. ეს არ იყო დამსახურებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილება, რომ საქართველოს ამ ეტაპზე არ მიენიჭა სტატუსი. თუმცა, ჩვენ გვჯერა, რომ ამ სტატუსს ჩვენი ქვეყანა ძალიან მალე მიიღებს. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის გარემოება და ის წარმატებული რეფორმები, რომელიც ჩვენ ყველამ ერთად გავატარეთ. 12 რეკომენდაცია, რომელიც განისაზღვრა ჩვენი ქვეყნისთვის, ზედმინვნით იქნა შესრულებული პარლამენტისა და მთავრობის მიერ, ჩვენი ყველას ჩართულობით და ჩვენ ახლა ველოდებით ჩვენი ევროპული კოლეგების გადამწყვეტილებას. აქვე მინდა შევახსენო საზოგადოებას, რომ ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციის გზაზე ყველა სიკეთე, და ყველა ის პროგრესი, რომელიც იქნა მიღწეული, ბოლო 10 წელიწადში, ეს არის ჩვენი გუნდის დამსახურება მხოლოდ. იქნებოდა ეს ჯერ კიდევ ასოცირების შეთანხმება, შემდეგ თავისუფალი ვაჭრობა, უფიზო რეჟიმი, ახლა უკვე ოფიციალური განაცხადის შეტანა ევროკავშირის წევრობაზე და მიღებული ევროპული პერსპექტივა.

რაც შეეხება ეკონომიკას, მინდა რამდენიმე კონკრეტული შედეგი მოგახსენოთ. პირველ რიგში, მინდა კიდევ ერთხელ გავიმეორო, ჩვენ გვიხარია ის ფაქტი, რომ ჩვენ უკვე წელსაც გვექნება 10%-ანი ეკონომიკური ზრდა, შარშან გვექონდა 10.5%-ანი ეკონომიკური ზრდა.

...საგარეო ვალი, ინფორმაციისთვის, 2020 წელს გაიზარდა 60%-მდე, მშპ-სთან მიმართებაში, 2022 წელს — ვალის 39%-მდე ჩამოსვლა შეეძლო, ხოლო მთავალ წელს იქნება 38%, 22%-ზე მეტი კლება გვაქვს ვალის სულ რაღაც 2 წელიწადში.

...ტურიზმი ძალიან სწრაფი ტემპებით აღდგა, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები შეადგენს 3,2 მილიარდ დოლარს... ასევე პოზიტიური წელი იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის თვალსაზრისით.

სიღარიბე და უმუშევრობა ჩვენი მთავარი გამოწვევაა. ჩვენი გაცხადებული პოლიტიკაა, რომ მაქსიმალურად მოკლე დროში შევძლოთ სიღარიბის დამარცხება და უმუშევრობის შემცირება. მესამე კვარტალი ამ კუთხითაც გამოირჩეოდა.

წელს ველოდებით 10%-იან ეკონომიკურ ზრდას. საშუალოვადიან პერიოდში პროგნოზი არის შემდეგი, რომ საქართველოს ექნება ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდა რეგიონში და ევროპის მასშტაბით.

ეს არის ჩვენი პარტნიორების, IMF-ის, მსოფლიო ბანკის პროგნოზები.

რაც შეეხება ენერგეტიკას, ენერგეტიკა ერთ-ერთი მთავარი დარგია, რომელიც კიდევ უფრო მეტად უნდა განვავითაროთ და მეტი ძალისხმევა ჩავდოთ ამ მიმართულებით, მეტი ინვესტიციები მოვიზიდოთ. ბოლო 5 წელი თითქმის გაჩერებული იყო ინვესტიციები ამ სფეროში, ამ დარგში.

ჩემი დავალებით, ჩვენ აქტიურად ვიმუშავებთ IMF-თან და შევთანხმდით, რომ ახალ სქემას ავამოქმედებთ, ეს უკვე დამტკიცებულია მთავრობის მიერ.

ჯამში ჩვენ 1500 მეგავატზე გამოვაცხადებთ ტენდერს და ამის შემდეგ, ამას გარდა, 800 მეგავატი, რომელიც უკვე გაფორმებული იყო და მათზე იყო გაცემული ე.წ. PPA, ანუ გარანტირებული შესყიდვის შეთანხმებები, ეს 800 მეგავატიც გაეშვება.

ჯამში, მინიმუმ 2-3 წელიწადში, 2300 მეგავატამდე, დაახლოებით, სიმძლავრის ჰესებზე არის საუბარი. ეს არის დაახლოებით 3 მილიარდი დოლარის ინვესტიცია. აქ შედის როგორც ჰიდრო, ასევე მზის, ქარის ენერჯები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებისთვის და ენერგოდამოუკიდებლობისთვის... სწორედ ამ მიზნით, ჩვენ, როგორც მოგახსენეთ, დავამტკიცეთ ახალი სქემა და მით უმეტეს, ახლა განსაკუთრებით, მას შემდეგ რაც ჩვენ წარმატებული ნაბიჯი გადავდგით, მოგეხსენებათ, რომ რამდენიმე კვირის წინ მე ვიმყოფებოდი ბუქარესტში, სადაც ჩვენ ისტორიულ პროექტს ჩავუყარეთ საფუძველი. ეს არის თავიდან ბოლომდე ქართული ინიციატივა, ჩვენ მიერ მიტანილი ინიციატივა ევროკავშირში, ჩვენს პარტნიორებთან, ჩვენს მეგობარ აზერბაიჯანთან, რუმინეთთან. ჩვენ რუმინეთთან ერთად დავინწყეთ ამ პროექტის განხორციელება, რომელსაც შეუერთდა აზერბაიჯანი, უნგრეთი და სრული მხარდაჭერა აქვს ამ პროექტს ევროკავშირის მხრიდან. მოგეხსენებათ რომ ქალბატონი ფონ დერ ლაიენი იმყოფებოდა ჩვენთან ერთად ბუქარესტში და საზეიმოდ ჩვენ აღვნიშნეთ ამ პროექტის დაწყება და სულ მალე, რამდენიმე თვეში დასრულდება ე.წ. კვლევები, "Feasibility", და ამის შემდეგ ჩვენ აქტიურ სამუშაოებზე გადავალთ.

ეს, შეიძლება ითქვას, მეორე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტია. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის გარანტირებული რეალიზაციის საშუალება ელექტროენერჯის, ეს არის პირდაპირი დაკავშირება ჩვენი ენერგოსისტემისა ევროკავშირის ბაზართან, ევროკავშირის ენერგოსისტემასთან და რა თქმა უნდა, ეს არის ისტორიული მნიშვნელობის პროექტი.

აუცილებელია, რომ საქართველოს ჰქონდეს შესაბამისი გამოიმუშავება ელექტროენერჯის, ამიტომ გვჭირდება გენერაციის ობიექტების განვითარება, აშენება, როგორც ქარის, მზის ჰიდროელექტროსადგურების, ასევე თბოსადგურების, რომ ჩვენი წილი ელექტროენერჯია გავყიდოთ ევროკავშირში, რაც ასეულობით მილიონი დოლარის შემოსავალს მოუტანს ჩვენს ქვეყანას და საბოლოო ჯამში ჩვენს ხალხზე აისახება ეს სიკეთე. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მით უმეტეს იმ ფონზე, როცა ეკონომიკის ზრდა წინ უსწრებს გენერაციის გამოიმუშავებას, ამიტომ აუცილებელი არის, რომ ეს პროპორციები პირიქით შევატრიანოთ. გენერაცია

კულტურის სახლი ხალხური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლის კონსერტი გაიმართა

საქართველოს ხალხური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლმა „ბასიანმა“, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, რეგიონებში სახალხო კონცერტები გამართა.

19 დეკემბერს ანსამბლი წეროვნის დევენითა დასახლებას ეწვია და ნუგზარ ფსუტურის სახელობის კულტურის სახლი კონცერტი ჩაატარა.

ლონისძიებს, მოსახლეობასთან ერთად, მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე გოჩა ქავთარაძე და ადგილობრივი ხელი-სუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

კონცერტის დასასრულს, ახალგაზრდობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნუგზარ თინიკაშვილმა მადლობა გადაუხადა ანსამბლის ყველა წევრსა და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის



სამინისტროს შესანიშნავი ღონისძიებისათვის, ასევე, დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა და წარმატებები უსურვა ანსამბლ „ბასიანს“ და დამსწრე საზოგადოებას.

უნდა უსწრებდეს ეკონომიკის ზრდას, ეს ზოგადად ასე არის მიჩნეული.

ჩვენი მთავრობის გადაწყვეტილებით აშენდება ანაკლიის პორტი, სახელმწიფო უნდა იყოს მესაკუთრე აღნიშნული სტრატეგიული ობიექტის, ანაკლიის პორტის 51% იქნება სახელმწიფოს კუთვნილება.

რაც შეეხება რკინიგზას, რკინიგზის მიმართულებით, გვაქვს რეკორდული შემოსავლები და გადაზიდული ტვირთის რაოდენობა, მოცულობაც არის რეკორდული. ჩვენ გვჭირდება რკინიგზის მოდერნიზაციის სწრაფად დასრულება, აუცილებელია ის, რომ გამტარუნარიანობა იყოს შესაბამისი და შესაფერისი იმ ტვირთთა ნაკადისთვის, რომელიც მოედინება, მოემართება ჩვენი კორიდორის მიმართ.

ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტი 2024 წელს დასრულდება. ჩვენ ჩვენს მეგობარ აზერბაიჯანთან უკვე მივალწიეთ შეთანხმებას და 100 მილიონი დოლარი დამატებით გამოიყო ამ პროექტის დასასრულებლად და სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. 86% არის დასრულებული და 2024 წელს აღნიშნული პროექტი საზეიმოდ გაიხსნება.

ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ინტერესი არის ის, რომ ჩვენი ქვეყანა გარდაქმნათ არამხოლოდ ენერჯოკაბად და ტრანსპორტის ჰაბად, ასევე დიდი პოტენციალი არსებობს ევროპა-აზიის დამაკავშირებელი ციფრული კორიდორის და საქართველოში ციფრული ჰაბის განვითარების მიმართულებით. ამ მიმართულებით ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ, საქართველოს შეუძლია, აქვს პოტენციალი, რომ გახდეს ევროპა-აზიის დამაკავშირებელი ციფრული კორიდორი და ციფრული ჰაბი.

ჩვენი მთავრობის ხელწერა არის მაქსიმალურად პრობიზნესური და ჩვენ ვეხმარებით და მაქსიმუმს ვაკეთებთ ბიზნესის განსავითარებლად.

პროგრამებზე ძალიან მოკლედ გეტყვით, რომ ვმუშაობთ წარმატებულად. გაუმჯობესებული თანადაფინანსების პროგრამაში „ანარმოე საქართველოში“ ჩართვის საშუალება აქვს 300-ზე მეტი ეკონომიკური საქმიანობის მიმართულებით მოქმედ სანარმოს. დამატებით შერჩეულია ექსპორტის დიდი პოტენციალის მქონე 60 ეკონომიკური საქმიანობა. წელს 330-მა კომპანიამ დაიწყო ან გააფართოვა საქმიანობა და ამ პროგრამის დაწყებიდან, 2014 წელს დავიწყეთ ეს პროგრამა, დაფინანსებულია 1500-ზე მეტი პროექტი და

ჯამურად 2,5 მილიარდი ლარი არის ინვესტირებული. შეიქმნა 35 ათასი ახალი სამუშაო ადგილი ამ პროგრამების დაფინანსებით.

რაც შეეხება მიკროგრანტების პროგრამას, დაფინანსდა 1400-ზე მეტი აპლიკანტი და ჯამში დაფინანსებული არის 8 200-ზე მეტი პროექტი, შეიქმნა 21 ათასი ახალი სამუშაო ადგილი.

ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იქნება ტურიზმის განვითარება. ტურიზმი სწრაფად აღდგა... 2023 წელს ვინყებთ მინიმუმ 10 ახალი საკურორტო ქალაქისა და დაბის სრულ რეაბილიტაციას. ეს იქნება სრული განახლება. რაც ვფიქრობ, ძალიან საინტერესო იქნება ჩვენი ტურისტებისთვის და ჩვენი მოქალაქეებისთვის.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, ამ მიმართულებით ჩვენ უზარმაზარ, კოლოსალურ თანხებს მივმართავთ, ინვესტიციები არის უზარმაზარი, მილიარდობით. წელს მაგალითისთვის 5 500-ზე მეტი პროექტი იქნა განხორციელებული ჯამურად. დასაქმებული იყო 25 ათასი ადამიანი და 1 200-მდე კომპანია იყო ჩართული ამ პროექტების განხორციელებაში.

ინფორმაციისთვის გეტყვით, რომ საერთაშორისო მაგისტრალის ნახევარზე მეტი, აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი უკვე აშენებულია. 2022 წელს სამუშაოები მიმდინარეობდა მაგისტრალური გზის 118 კილომეტრზე, საიდანაც, მათ შორის რიკოთის მონაკვეთზე, წლის ბოლომდე საფარი მოეწყობა 40 კმ-ზე, 15 კილომეტრი უკვე გახსნილია მოგესვენებათ.

ჩვენ ამ ისტორიულ პროექტს, საუკუნის პროექტი შეიძლება ვუნდოთ, დავასრულებთ და გავხსნით 2024 წელს... 2024 წელს დასრულდება კახეთის ავტობანიც.

რაც შეეხება წყალმომარაგებას, 2025 წლის ბოლომდე ყველა ქალაქს ექნება 24 საათიანი წყალმომარაგება...

რაც შეეხება რეგიონებს, ჩვენი გაცხადებული პოლიტიკა არის, რომ რეგიონებში თანაბრად უნდა გადანაწილდეს ის დოვლათი, რომელიც იქმნება ქვეყანაში.

ამ მიზნით ჩვენ დავიწყეთ ყველა მუნიციპალიტეტში „განახლებული რეგიონების“ პროგრამა, რომელიც საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. ყველა მუნიციპალიტეტის ცენტრების განახლება შევძელით, განახლდა 564 შენობა, მოწესრიგდა საინჟინრო ქსელები,

გაგრძელება მე-6 გვერდზე

საქართველოს პრეზიდენტის 2022 წლის ანგარიში

მე-5 გვერდიდან

განახლდა და აშენდა 92 პარკი და სკვერი, პროგრამა გრძელდება. ამ ეტაპზე პროგრამის ფარგლებში ინვესტირებული არის 400 მილიონ ლარზე მეტი.

ასევე ჩვენ შევისწავლეთ საბავშვო ბაღების მდგომარეობა, ეს ერთ-ერთი დიდი გამოწვევა არის ქვეყანაში, ჩვენი შვილები, ბავშვები მთელს ქვეყანაში, ვთქვათ პირდაპირ, რომ საკმაოდ რთულ პირობებში იზრდებიან, ამიტომ აუცილებელი იყო ამ პროგრამის დაწყება. ჩვენ 885 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციას ვიწყებთ მომავალი წლიდან, რამდენიმე ფაზად დაიყოფა აღნიშნული პროგრამა.

ეს არის ჯამში მილიარდ სამასი მილიონი ლარის პროექტი და ყველა ბალი აშენდება და მოეწყობა, გარემონტდება ევროპული სტანდარტის მიხედვით. ასევე მინდა ვთქვა, რომ ჩვენ დაახლოებით 800-მდე სკოლის რეაბილიტაცია-განახლებას ვიწყებთ. 2023 წელს 400 სკოლის პროექტს დავიწყებთ, აქედან 80 აშენდება, დანარჩენი სრულად განახლება და მოეწყობა ევროპული სტანდარტის მიხედვით. ესეც არის დაახლოებით 1 მილიარდი ლარის ღირებულების პროგრამა.

სოფლის მეურნეობა ჩვენი ეკონომიკის მნიშვნელოვანი სფეროა. ჩვენი პარტიის ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან მილიარდობით ლარი არის ინვესტირებული ამ სექტორში, სოფლის მეურნეობის დარგის განსავითარებლად. ის პროგრამები, რომლებიც ჩვენ დავიწყებთ 2012 წლიდან აღმოჩნდა ძალიან ეფექტური, კონკრეტული შედეგი გამოიღო ამ პროგრამებმა. რამდენიმე მონაცემი მინდა გითხრათ.

ჩვენი დაპირება იყო, რომ მევენახეობა გახდებოდა ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულება და ვინაიდან ჩვენ ვართ ღვინის სამშობლო, ამიტომ ამ დარგს სჭირდებოდა განსაკუთრებული ყურადღება.

ბოლო 10 წელიწადში 16 000 ჰექტარი ვაზი გაშენდა, ჯამში 41 ათას ჰექტარამდე გაიზარდა ვენახების ფართობი... 380 მილიონამდე ლარი არის გაცემული სუბსიდიის სახით მევენახეებზე და ღვინის მწარმოებლებზე ბოლო 10 წელიწადში და 2 მილიარდ ლარზე მეტი შემოსავალი მიიღეს კახეთის რეგიონში მევენახეებმა ყურძნის რეალიზაციიდან 2012 წლიდან 2022 წლის ჩათვლით.

წელს უკვე გვაქვს რეკორდული მონაცემები ღვინის რეალიზაციის — 91 მილიონი ლიტრი შეადგინა ღვინის წარმოებამ და რეალიზაციამ, ექსპორტმა. ჯამურად მევენახე მეურნეობის განვითარების პროგრამაზე სახელმწიფოს მხრიდან დახარჯულია 600 მილიონ ლარზე მეტი. ასევე, ჩვენ აქტიურად ვეხმარებით, მრავალწლოვანი კულტურების გაშენებას. 20 000-ზე მეტი ჰექტარი ბაღები გაშენდა ბოლო 10 წელიწადში. ასევე, ჩვენ დავიწყებთ ვაშლის დარგის დახმარება. ვაშლის მწარმოებლებს აქვთ კონკრეტული დახმარება ჩვენი მთავრობისგან. თხილის მიმართულებით, თხილის მასშტაბური წარმოების და ექსპორტის პოტენციალი აქვს ჩვენს ქვეყანას, ამიტომ ჩვენ, რამდენიმე კვირის წინ დავაანონსეთ, რომ თხილის მწარმოებლებს კონკრეტულ პროგრამას შევთავაზებთ და ეს პროგრამა უკვე დაწყებულია და ჩვენი განსაკუთრებული მხარდაჭერა ექნება სამეგრელოს და გურიის მოსახლეობას.

ჯამურად, 2013 წლიდან გაცემულია 4,9 მილიარდი ლარის ღირებულების და 72 600-ზე მეტი შეღავათიანი აგროკრედიტი. სახელმწიფოს თანადაფინანსებამ შეადგინა 665 მილიონი ლარი. 41 ათასზე მეტმა ბენეფიციარმა ისარგებლა ამ დახმარებით, ამ პროგრამებით.

როდესაც ვსაუბრობთ სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, რა თქმა უნდა, აუცილებელი არის სამედიცინო ინფრასტრუქტურის განვითარება. ჩვენ ამ 10 წლის განმავლობაში 407 სარეაბილიტაციო პროექტი განვახორციელეთ.

...მნიშვნელოვანი პროექტია იორდანიაში წმინდა მინაზე საქართველოსთვის 4000 კვადრატული მეტრი მიწის გადმოცემა, სადაც უკვე აქტიურად მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები და როგორც კი ავიღებთ სამშენებლო ნებართვას, დავიწყებთ ქართული კულტურის და სულიერების ცენტრის მშენებლობას.

...რაც შეეხება თავდაცვას და უსაფრთხოებას, მნიშვნელოვანი წინსვლა აღინიშნება ჯარის და სამხედრო ავიაციის გაძლიერების მიმართულებით. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამების განხორციელება დავიწყებთ პოლიციის მიმართულებით. მინდა ჩვენს ჯარს და პოლიციას მადლობა გადავუხადო, კიდევ ერთხელ სრული მხარდაჭერა დავუდასტურო ჩვენს მინისტრებს და მათ უწყებებს.

რაც შეეხება შერიგება-თანასწორობის მიმართულებით მთავრობის პოლიტიკას, რა თქმა უნდა, ჩვენი მთავარი პრიორიტეტი არის ჩვენი მშვიდობიანი პოლიტიკის გაგრძელება ოკუპირებულ რეგიონებთან მიმართებაში, შერიგების და ჩართულობის პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელება. ჩვენი მიზანია საერთო ინტერესებზე დაფუძნებული თანამშრომლობის და ნდობის აღდგენის ხელშეწყობით კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და ხელოვნურად გაყოფილი საზოგადოების შერიგება.

ჯანდაცვის მიმართულებით ჩვენ საკმაოდ წარმატებული წელი გვქონდა. გამოვყოფდი მედიკამენტების რეფორმას, შევძელით ის, რომ თურქეთის ბაზრის გახსნის შემდეგ მოვახერხეთ მედიკამენტების ფასის საგრძნობი შემცირება, 60%-80%-ით შემცირება... რეფერენტული ფასები დანესდება მედიკამენტებზე, ეს დამატებით 40%-ით გააიაფებს მედიკამენტებს, რაც, რა თქმა უნდა, საბოლოო ჯამში ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობაზე აისახება.

რაც შეეხება შრომას, დასაქმებას და სოციალურ დაცვას, ორნიშნა ეკონომიკური ზრდისა და შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციების გათვალისწინებით 2023 წელს პენსია საგრძნობლად გაიზრდება და გახდება 365 ლარი, ასევე მაღალმთიან რეგიონებში 440 ლარამდე დაახლოებით. ასევე, ჩვენ მაქსიმალურად, შეძლებისდაგვარად გავზარდეთ სოციალურად დაუცველ ბავშვთა ყოველთვიური დახმარება. შედარებისთვის, 2012 წელს ეს დახმარება იყო ნული, არავითარი დახმარება არ მიეცემოდა სოციალურად დაუცველ ბავშვებს. ჩვენ ეს დახმარება დავიწყებთ ჯერ 50 ლარით რამდენიმე წლის წინ, თუ არ ვცდები, ორი წლის წინ, შემდეგ გახდა 100 ლარი, წელს 150 ლარი და შემდეგ წელს (2023) იქნება 200 ლარი. თითოეულ ბავშვზე ჩვენ გავცემთ 200 ლარს და ეს პროექტი ბიუ-

„მინდა, პროექტის დასრულების შემდეგ ახალგაზრდა ვიქნები“



საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ, ევროკავშირისა და „პური მსოფლიოსთვის“ მხარდაჭერით, ხორციელდება პროექტი „სოციალური მენარმეობის განვითარება მდგრადი და ინკლუზიური საზოგადოებისთვის“, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა ახალგაზრდა ელჩები.

ახალგაზრდა ანა ახლოური სწორედ ამ პროექტის ახალგაზრდა

ელჩია მცხეთა-მთიანეთში.

ანასთვის ელჩობის გამოცდილება საინტერესო, შთამბავებელი და მოტივაციის მომცემი აღმოჩნდა.

შეხვედა ბევრ ახალგაზრდას წეროვნის, ფრეზეთისა და წილკნის დევნილთა დასახლებებში, მცხეთა-მთიანეთის ხუთივე მუნიციპალიტეტის სკოლებში, სადაც აქტიურად ყვებოდა სოციალურ მედიაში საინტერესო ფაქტებს სოციალური მენარმეობის შესახებ.

„ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ახალგაზრდებს ზუსტად ისე დავანახო სოციალური მენარმეობა, როგორც პირველად მე დავინახე. გავლენა, რაც სოციალურ მენარმეობას აქვს, ძალიან ბევრმა ადამიანმა უნდა იცოდეს. როგორც ელჩისთვის, მთავარი მოტივაცია ეს



არის და მიხარია, რომ მეც შევიტანე მცირე წვლილი ინფორმაციის გავრცელებაში.

3 რამ რაც, ელჩობამ მომცა, ეს არის: ახალგაზრდებთან შეხვედრების გამოცდილება; მოტივაცია, რომ პროექტის დასრულების შემდეგაც გავაგრძელო ეს საქმიანობა; ბევრი კარგი მოგონება - დანყებულ კონკრეტულ ლოკაციაზე მიღწევით, გუგლის რუკით გზაში დაკარგვის ბედნიერებით და გაგრძელებული განწყობით, რაც შეხვედრების დროს ჩნდებოდა.

როგორც ელჩი, პროექტის განმავლობაშიც ვაკვირდებოდი საკუთარ თავს, როგორ ვიზრდებოდი. აღმოვაჩინე, რომ თუ რამე იდეის გჯერა და გინდა, რომ ღირებულებები გააზიარო, ჩნდება ძალიან დიდი მოტივაცია, ენერჯია და ამ პროცესში იღებ დიდ სიამოვნებას. თითოეული აქტივობის შემდეგ არათუ დაღლილი, არამედ ძალიან კმაყოფილი ვიყავი“, - აღნიშნა ანამ.

წარმატებებს ვუსურვებთ მას!

ჯეცს 465 მილიონი ლარი დაუჯდება. ჯამში, 232 000 ბავშვი მიიღებს ამ ყოველთვიურ, 200-ლარიან დახმარებას და თითქმის ნახევარ მილიარდამდე არის ამ პროგრამის ბიუჯეტი.

ასევე მინდა ვთქვა, რომ ზოგადად, დემოგრაფიული საკითხები არის პრობლემატური და საჭიროებს უფრო კომპლექსურ მიდგომას. ჩვენ ვგეგმავთ, რომ 2023 წლიდან ყოველ მესამე და მომდევნო ახალშობილზე გავცეთ ერთჯერადი დახმარება, 1000 ლარის ოდენობით. აქვე, საინტერესო ტენდენცია გამოიკვეთა, - ყველაზე მეტი მრავალშვილიანი ოჯახი არის სოციალურად დაუცველი ოჯახი. ყოველი მესამე, მეოთხე და შემდგომი ბავშვი სოციალურად დაუცველ ოჯახებში იბადებიან, ამიტომ, ჩვენი ვალაია, რომ კიდევ უფრო მეტი დახმარება მივმართოთ ამ მიმართულებით.

ასევე ჩვენ რამდენიმე კვირის წინ მივიღეთ გადაწყვეტილება და დეკრეტული შევბულების თანხა 1000 ლარის ნაცვლად გახდა 2000 ლარი. მე ამაზე არაერთხელ მითქვამს საჯაროდ, რომ აუცილებელია ამ მიმართულებით მეტი ჩართულობა. ეს არის მნიშვნელოვანი, ეს არის ეროვნული საკითხი. ამიტომ დემოგრაფიულ საკითხებს სჭირდება კომპლექსური მიდგომა და საზოგადოების გაერთიანება.

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებით, მოკლედ გეტყვით, რომ ჩვენ დაგეგმილი გვაქვს ქუთაისის ოპერისა და ბალეტის პროფესიული

სახელმწიფო თეატრის, ფოთის, დმანისის თეატრების, ახალციხის თეატრის რეაბილიტაცია-მშენებლობა, ასევე შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. სპორტის მიმართულებით ჩვენ გვაქვს სერიოზული გეგმები, ყველა სტადიონის რეაბილიტაცია, შეკეთება, განახლება. ასევე ვგეგმავთ, გაისად ვუმასპინძლოთ ევროპის ჩემპიონატს, 21 წლამდე ფეხბურთში, ევროპის ჩემპიონატს რუმინეთთან ერთად. ამ მიზნით გამოყოფილი არის თითქმის 100 მილიონ ლარამდე, მიმდინარეობს სრული რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია სტადიონებისა და სავარჯიშო მოედნების. ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, საქართველოს დიდ ქალაქებში — თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და რეგიონებში დარჩება უეფას სტანდარტებით გაუმჯობესებული სტადიონები.

მინდა კიდევ ერთხელ აღვნიშნო, რომ ჩვენ ამ გამოწვევებით აღსავსე პერიოდს, საკმაოდ გონივრულად და სწორად ვმართავთ და მე მჯერა, რომ ჩვენი საერთო ჩართულობით, საზოგადოების მხარდაჭერით, ამ პერიოდს გავივლით მშვიდობიანად. ჩვენი მთავარი ამოცანა არის მშვიდობის შენარჩუნება, სტაბილურობის შენარჩუნება, რაც არის საფუძველთა საფუძველი აი ამ კეთილდღეობის, ამ განვითარების...

(იბეჭდება შემოკლებით, გაზეთის მცირე ფორმატის გამო)

ნაწილი გასაგებია

ნაწილი გასაგებია კასპში დაიბადა და გაიზარდა, მაგრამ მისი ფესვები გასაგებია არის. გასაგებია ზაფხულობით გასაგებია მამიდასთან და დადიანეთში ბუბიასთან ატარებდა და-ძმებთან ერთად. ოჯახშიც ხშირად საუბრობდნენ ქსნის ხეობაზე, განსაკუთრებით, თურმე, მამამისს აწუხებდა მთასთან, მშობლიურ სოფელთან განშორება. ეს სიყვარული ნაწილისაც მუდამ თან სდევს, განსაკუთრებით კი ქსნის ხეობის დღევანდელი მდგომარეობა აწუხებს.



მწიგნობარე მთავრის იმედი

დგახართ პირქუშად, ამაყად, ნისლი გახურავთ ქუდადა, მწვანე კალთები შეგიკრავთ, დადუმებულხართ ჩუმადა. მალღობით დასცქერით ხეობას, დაღონებულსა, მკვნესარეს, ქსანიც კი თითქოს არ იძვრის, ხმაც აღარ ისმის მჩქეფარედ. მთლად გამოცლილა სოფელი, კვამლი არ ასდის სახლსაო, ბაღების ჟივილ-ხივილი, მონატრებია მთასაო.

ჩემო ლამაზო მამულო, სანატრებელი ძალსაო, ჩუმადა, გულის მტანჯველო, შენთვის გავწირავთ თავსაო. ან მოვკლავთ, ან შევაკვდებით, მომხდურსა ტიალ ქაჯსაო, სიცოცხლით გავიხანგრძლივებთ, ჩვენს სახელსა და გვარსაო. ისევე ვნახავთ ფერდობზე, თეთრად შეფენილ ცხვარსაო, ახმაურდება ხეობა... „სალამი ღვთისა, ძმასაო“.

ბილიცავთ ახალ წელს!

საქართველოს ცა და საქართველოს მთები, ებარება უფალს, ფარავს ღვთისმშობელი. კურთხეული მიწა, კურთხეული წყალი, შევსვით ოცნებების სადღეგრძელო ჯამით. ლამაზთვალა გოგოს ანგელოზის დარის, გმირი ვაჟკაცების წინა ხაზზე მდგარის. დაილოცოს გული, მნათობს შესადარი, აგვარიდე ღმერთო ცრემლი, სისხლნაბანი.

ღმერთო, მალალო, ძლიერო, ბუნების დიდო ძალაო, შენ დაიფარე სულდგმული, გაუხანგრძლივე ხანაო, იმედის სხივი მოჭვინე, აცინე ხანდახანაო. შვლის ნუკრსაც ნუ დააობლებ, დედას მიჰყოლე თანაო, ნაკადულის პირს ჩასულსა აცალე პირის ბანაო. ყვავილებს სული შთაბერე, ჩააცვი ჭრელი კაბაო, მორთე, მოკაზმე ფერებით, არ დაიშურო გამაო. მონატრებული ტრფიალი, იას უთხარი ჩქარაო, მისი სიტურფე, სურნელი, დაგყვება კვალდაკვალაო, ...გული ხარობს და ხალისობს, სიცოცხლით ამისთანაო...

დილა მთავრში

მთისა ლამაზო ყვავილნო, ნუ მიეცემით სევდასა, გამოდით, გამომზიგულდით, როგორც ყვადით ერთხანსა, იცინეთ სხვაც გააცინეთ, ნუ დააღონებთ, ბეჩავსა. ნაზი სიტურფე, სილაღე, ფერდობებს შვენის მთებისას, წელში ლამაზად ირხევით, კლდეზე ჩანჩქერის მღერისას, თქვენით ხარობს და ხალისობს, ყველა სულდგმული დღენისა, დილის ნიაფთან ნავარდობს, სიგრილე, მზისა მწველისა. თქვენს შემომქმედსაც ვადიდებ, ვინც შექმნა პეიზაჟები, ვინც სულდგმულს მუზა შთაბერა და გააჟღერა ჰანგები, ბუნების სიმშვენიერით, ხარობს სიცოცხლის ძალები, ბულბულის ტრფობა-გალობით მთლად, წითლდებიან ვარდები.

შალვა ილიაძე

საახალწლო ღაღოცვა

2023 წლის შემობრძანებას ვულოცავ ჩემს ქსნელებს

ამოიმღერე, ფანდურო! უნდა გავიჭრა მთებში, ლომისის წმინდა გივარგის ხარი ღრიალებს ჩემში!.. მე ის ბებერი ხარი ვარ, გზად რომ სვდებოდა მრევლი, ქსნის და არაგვის ხეობას რომ მიარღვევდა ცრემლით. ვერ ავიტანე ტყვეობა, გამოვარღვიე ღამე, ბელტი არ მიბრუნებია იმ ურჯულოთა მხარეს!.. მოვდივარ, ჩემო ქვეყანავ, მკერდს აგლეჯილი ჯაჭვით, ლომისის წმინდა გივარგის ცეცხლში დამწვარი ხატით!.. რამ გამაცოცხლა?! – ბუნებამ! ცეცხლი მედება ქსნელსა, გლოცავთ თქვენ, ჩემო ჯიშო და ვლოცავ თქვენს გამჩენ ღმერთსა! ღვინო დამისხით, ქსნელებო, ცაში იწივლეთ, ხმლებო, ლომისის წმინდა გივარგის ხატმა დაგლოცოთ, ძმებო! თქვენს დაბრუნებას მომასწრო, წმინდა ლომისის ყმებო, ქსნის ხეობიდან აყრილო ჩემო ლომგულა ძმებო!

14 იანვარი. 2023 წელი

შაქრო გასაგებია

ქსანო...

ქსანო, მიყვარს შენს ქალებში წყალ-წყალ ცხენით სიარული, ლარგვისიდან ნისლში მოსჩანს ცხრაზმის ხევი გახვეული. არწივების საბუდარა, მალალ მთებით მოტრფიალე, შენს ტყეებს და შენს ბილიკებს მტკაველ-მტკაველ ვენაცვალე-ვენაცვალე შავ კლდეების გამხეთქელა ცივსა წყაროს, ცხადში ველარ გიხილო და იქნებ ძილში სიზმრად გნახო. მინდა ვნახო ხევ-ხუვები, სათიბები, მინდორ-ველი, კურკუტოს მთა თოვლიანი და ბებერი მყინვარწვერი. ჩემი გულის ნაწილი და ჩემო ტურფავ ერთადერთო, იდღეგრძელე, მარად იყავ, საყვარელი დაბაკნეთო!

2020 წელი

ახალგორის ბიბლიოთეკა ქართული მწერლების საჩუქარი მიიღო

საქართველოს მწერალთა კავშირის შიდა ქართლის, ცხინვალისა და ახალგორის მწერალთა ორგანიზაციის და პირადად პოეტ დათო ახლოურის ინიციატივით მოეწყო აქცია, რომლის მიზანიც გახლდათ წიგნების შეგროვება და წეროვნის დევნილთა დასახლებაში არსებული ახალგორის ბიბლიოთეკისთვის გადაცემა.

აქციის პირველ ეტაპს შეუერთდნენ დათო ახლოურის მეგობრები და თანამოკალმენი თბილისიდან, გორიდან, ცხინვალიდან, ზუგდიდიდან, ხაშურიდან...

ამ კეთილი საქმისთვის სხვადასხვა ჟანრის ჟურნალები და წიგნები აჩუქეს ახალგორელებს გამომცემლობებმა – „საარმა“ და „უნივერსალმა“, გორის მერიის კულტურის სამსახურმა, გორის უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრმა, ოთარ ჩხეიძის სახელობის კაბინეტმა, გორის მწერალთა სახლმა, აკადემიკოს ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა აკადემიამ, სამეგრელოს მწერალთა ორგანიზაციამ, დიმიტრი ყიფიანის სახელობის სახლ-მუზეუმმა, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა, მეგობარმა მწერლებმა, მეცნიერებმა...

17 იანვარს რამდენიმე ათეული წიგნი მიიღო საჩუქრად წეროვნაში მდებარე ახალგორის ბიბლიოთეკამ. სტუმრების და საჩუქრების ტრანსპორტირებაში ბატონ დავითს გორის მუნიციპალიტეტის მერია დაეხმარა...



ტირებაში ბატონ დავითს გორის მუნიციპალიტეტის მერია დაეხმარა...

– ამის შემდეგ ფრეზეთის დევნილთა დასახლებას ვესტუმრებით. გვჯერა, ეს წიგნები მომავალში ახალგორში დაიდებს ბინას! ძალა ერთობაშია! ძალა სიყვარულისა და სიკეთის ზეობაშია! – აღნიშნა ბატონმა დავით ახლოურმა.

დაპით ახლოური

ქსნის ხეობას

ველარ ვიშუშებ ჩემი წყალ-ჭალის ნატყვიარს, მინდა დავბრუნდე, მაგრამ გზა ჯერაც არ ჩანს... იქ დედაჩემის ნაფეხურები ატყვია, იქ საფლავეების ცივი ლოდინი დარჩა.

ვფურცლავ დღიურებს – ატირებულებს ბალღივით, ისევ ვინახავ ქსანზე მონყვეტილ ყვავილს... დავეხეტები ხიზნის მანტიით დალილი და მონატრება გულში ხარივით ბლავის!

წარსულის ლანდები

ჩემს სიზმარში ჯერ ისევ გაზაფხულის დარია, დედის თბილი ხმა მესმის... ეზოშია ბებიაც... გაკვეთილებს მოვრჩი და სახლში მიმიხარია, შარმანდელი ზვავები მზის ალერსით დნებიან. ჩემს სიზმარში ჩიტებიანთ ყანას ჭამენ ჩიტები და განვდევნი, როგორც კი მოვა „ჩიტი-ფაფობა“... მურაბით მაქვს მოთხვრილი თოკზე ჭრელი ჩითები, ჩვევად მექცა ქილაში ჩუმად თითის ჩაყოფა... ჩემს სიზმარში ჭორჭობის მთიდან მოჩანს იელი და ყველდაბის აღმართზე ენძელები ყვავიან... მიუყვება ჭურთულას გოგო მოჭალიელი, უცხო ვაჟის დანახვამ მარტივით რომ არია. ჩემს სიზმარში სალამოს შვიდის ნახევარია, ავტობუსი სოფლისა კელაკლდეებს გამოცდა... ვიდრე დაასრულებენ წლები ყრმობის არიას, ჩავაბარებ ბავშვობას სიყმანვილის გამოცდას... მერე სადღაც გაქრება ლანდები და... ცოდვაა... რეალობა მტარვალის ხელით შეიბილწება...

ქსნის ხეობის გარეშე ზღვის წვეთივით ცოტა ვარ, საქართველო ჩემთვის ხომ ყელის ტბიდან იწყება!!!

ღობესთან, თვალეფახულას ვეფერებოდი კესანეს... თან დამყვებოდა დილის მზე აღმაცერი და ირიბი... კუდმაკრატელა მერცხლები ჩემს ჭერქვეშ ბუდეს კემსავდნენ, ნანწავდაშლილი სიყვარულს მეფიცებოდა ტირიფი. მე კი მხოლოდ შენ მიყვარდი, სულ არ მინდოდა მესამე, თავს მეველებოდა ბერციხე, მლოცავდა ღვიძლი შვილივით... როგორ მეხვენა, – დედილო,ნუ წახვალ, შენი კვნესამე... ვერ დავრჩი, ყელთან მომდგარი წამოვიყოლე ტირილი...

გულწრფელად ვიტყვი: ლტოლვილობა ისე არ მანუხებს, როგორც იმაზე ფიქრი, რომ ჩვენს მიცვალებულებს მამა-პაპისეულ საგვარეულო სასაფლაოებზე ვერ ვკრძალავთ...

ლექსი მათ ხსოვნას ეძღვნება

წილხვედრად მერგო დევნილის ხვედრი, რა უჭირს, ღამით სიზმარი „მიცავს“, აქ მოძმე საფლავს არ დამაყვედრის, ჩამაყოლებენ მშობლიურ მიწას...

მაგრამ რა ვუყო იმ ზვრებს, იმ ტინებს, ზამთრის ზვავებში სულს რომ ლაფავენ... ამოვა მზე და გამოიტირებს სხვაგან დარჩენილ ძვირფას საფლავეებს!..

„კნენა ქეთევანი“ – მუხრანბატონების იკოთის სასახლის ერთ-ერთი პირველი მფლობელი



ფოტოს ავტორი: გიორგი ბალხამიშვილი

ღაპოთ ახლოშრი

ახალგორის მუნიციპალიტეტის ისტორიულ სოფელ იკოთს ჯავარად წარმოსდგომია ქსნის ერისთავთა საზაფხულო ციხე-სასახლე, რომლის ბოლო მეპატრონე მიხეილ ბაგრატიონ მუხრანბატონი იყო...

როგორც ხელოვნებათმცოდნე ნინო ერისთავი აღნიშნავს, სასახლის მშენებლობა სხვადასხვა პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა: „შესაძლოა, ქვედა, სარდაფისა და ძირითადი სართულის გარკვეული ფრაგმენტები XVIII საუკუნეს ეკუთვნოდეს, ხოლო XIX საუკუნის პირველ ნახევარს კი ნაგებობის დანარჩენი ნაწილი“. იკოთის საჯარო სკოლაში დაცული პასპორტის მიხედვით (შედგენილია 1844 წელს), ირკვევა, რომ ერისთავებს სასახლის მშენებლობა 1840 წელს დაუსრულებიათ, ხოლო მისი ერთ-ერთი პირველი მფლობელი გახლდათ გიორგი იესეს ძე ქსნის ერისთავი. „დიდი კნიაზი“ გიორგი იყო ქართლ-კახეთის სამეფოს სარდალი, სენატორი, რუსეთის იმპერიის ინფანტერიის გენერალი და ამავე დროს „ატენის ბატონი“. ქსნელ თავადს ცოლად ჰყავდა გიორგი XII-ის ასული გაიანე ბატონიშვილი, რომელთანაც შეეძინა ვაჟი - ზაქარია და ქალიშვილები: ქეთევანი, ანა (თუთა), მარიამი. ზაქარია სამხედრო პირი იყო, პოლკოვნიკი და ზაქათალაში ლეკებთან ბრძოლას შეეწირა. უფროსი ქალიშვილი ქეთევანი ცოლად ჰყავდა გენერალ-მაიორ მამუკა (მაკარ) ორბელიანს. სწორედ მათ ხვდათ წილად „იკოთის მამუ-

ლი“, რომელსაც ამშვენებდა ჯერ მომცრო სახლი, შემდეგ კი მასზე დაშენებული სასახლე.

ქეთევანმა 15 შვილი აჩუქა ორბელიანებს, მათ შორის ქალიშვილი ალექსანდრა, ლევან მელიქიშვილის მეუღლე. ლევანი რუსეთის არმიის კავალერიის გენერალი იყო, გენერალ-ადიუტანტი, მისი სარდლობით აიღეს ლუნიზის ციხე, ხელმძღვანელობდა დაღესტნის ოლქს და იყო ამ ოლქის ჯარების სარდალი, კავკასიის არმიის ჯარების მთავარსარდლის მოადგილე... და, რაც ჩვენთვის უფრო საყურადღებოა, ლევანი ნიკოლოზ ბარათაშვილის ახლო მეგობარი გახლდათ...

„ლევან, ლევან! გავგიჟდი, მეტი არა ვარ! ეკატერინა იქ არის და მისმა საყურეს თამაშმა გადაშრია! ღვთის განაჩენი კაცი ვერ ნახავს ვერაფერს უკეთესს“ - უთქვამს ჭავჭავაძის ასული ალფრთოვანებულ ტატოს ორბელიანების სიძისთვის.

„ვითა პეპელა არხევს ნელ-ნელა სპეტაკს შროშანას, ლამაზად ახრილს, ასე საყურე, უცხო საყურე, ეთამაშება თავისსა აჩრდილს.“

ქეთევანისა და მაკარის ერთ-ერთი ვაჟი - ვანო ორბელიანი რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომის გმირი იყო. ივანეს ცოლად ჰყავდა მარიამ დიმიტრის ასული სვიატოპოლკ-მირსკაია, რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის და.

ქეთევანი თავისი დროისათვის საკმაოდ ცნობილი ქალბატონი იყო, ახლო ურთიერთობა ჰქონია ცნობილ დრამატურგთან გიორგი

ერისთავთან და აკაკი წერეთელთან. 1850 წლის 2 იანვარს კომედია „გაყრაში“ ითამაშა თათელას როლი, ხოლო 3 მაისს „დავაში“ - გამდელის, ლომისეულის როლი. „ადრე ისე სასირცხვილოდ მიაჩნდათ ჩვენში თეატრის სცენაზე გამოსვლა, რომ თავის მოჭრა ეგონათ. ვორონცოვის დროს, რომ „გაყრა“ ითამაშეს, პირველი მაგალითი კნენა ქეთევანმა უჩვენა ყველას; ითამაშა და მით აგრძობინა სხვებსაც, რომ აქ სასირცხვიო არა არის რაო“ - წერდა აკაკი წერეთელი 1897 წლის გამოსათხოვარ წერილში.


დიდად დაფასებული ქალი იყო კნენა ქეთევანი... რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე მეორის ბრძანებით „კავალერსტევენია და მას“ ხარისხი ჰქონდა ნაბოძები... მეორე ქალბატონი საქართველოში, ვისაც იმპერატორისგან ეს პატივი ერგო, მისი ქალიშვილი ალექსანდრა ორბელიანი გახლდათ, მელიქიშვილების რძალი.

ერთ დროს მდიდარ ერისთავის ასულს გარკვეული პერიოდის განმავლობაში სიღარიბეშიც უცხოვრია. თანაც ისე გაღარიბებულა, რომ მართლმსაჯულებას მოვალეებისაგან შეწუხებული თავადის ქალი შეუძლებელ მოვალედ უცვნიან...

რუსეთის იმპერატორის საქართველოში სტუმრობის დროს, ნადიმზე პირველი ცეკვა სწორედ საპატიო სტუმარს უნდა შეესრულებინა. ცეკვა პოლონური უნდა ყოფილიყო (გავიხსენოთ, რომ რუსთა ხელმწიფეს ჰქონდა პოლონეთის მეფისა და ფინეთის ჰერცოგის ნოდებებიც)... ცეკვის დროს ალექსანდრეს ქეთევანი გამოუწვევია. კოლა ერისთავის მოგონებით: „ქეთევანი მაშინ იქნებოდა თითქმის 73 წლისა, ბრძანდებოდა დეკოლტეთი და გულზე ჰქონდა გადაკიდებული დიდი ლენტი - ნიშანი მისი ხარისხისა. ერთხელ შემოუარეს დარბაზს სიჩუმით, მეორეთ ქეთევანმა მიმართა ხელმწიფეს და უთხრა: „თქვენო საიმპერატორო აღმატებულებავ, თქვენ ცეკვავთ შეუძლებელ მოვალესთან“. იმპერატორი დუმდა, მაგრამ, როცა რამდენჯერმე გაუმეორა, უპასუხა: თქვენ არ შეიძლება იყოთ შეუძლებელი მოვალე, თქვენ 10 დესეტინა

თამაზ ღურგლიშვილი

ნუგზარ ფსუტურის სახელობის ახალგორის კულტურის სახლი ღრმა მწუხარებით იუნყება თანამშრომლის, ხალხურ საკრავთა ანსამბლ „მომავალი თაობის“ დამაარსებლისა და ხელმძღვანელის თამაზ /ბიჭიკო/ ღურგლიშვილის გარდაცვალებას.



ბატონმა თამაზმა ნათელი კვალი დატოვა ბავშვთა და მოზარდთა მუსიკალური აღზრდის საქმეში. ანსამბლის წევრები უკრავდნენ სხვადასხვა ხალხურ და ფოლკლორულ ინსტრუმენტზე და წარმატებით გამოდიოდნენ მრავალ ღონისძიებასა და ფესტივალზე.

თამაზ ღურგლიშვილის ხსოვა მარადიულად დარჩება მისი აღზრდილების, კოლეგების ხსოვნაში. მას ყველა იცნობდა, როგორც თავისი საქმის პროფესიონალ და ერთგულ მუსიკოსს. მისი შრომა და ღირსეული მოქალაქეობა აღნიშნული იყო საქართველოს მთავრობის მხრიდანაც – იყო ორგზის ღირსების ორდენოსანი.

ნოდარ გვირიტიშვილის მონატრება



იანვრის დადგომა შენი დაბადების დღის აღნიშვნით იწყებოდა, ჩემო შვილო... ძალიან მიჭირს უშენობა... ნიაჯია და თითქოს შენი ხმა მოაქვს, წვიმს და ასე მგონია, ჩემი ცრემლები ასველებს შენს გულზე დაბნეულ მინას...

მენატრები... ყოველ საღამოს ისევ მოგელი... ვერ მივეჩვიე, რომ აღარ ხარ ამ ქვეყნად...

ზეციურ მარადიულ სამყოფელში გილოცავ დაბადების დღეს, შვილო... დედას გულში ჰყავხარ მარადიულად და ასე იქნება მუდამ... შენი ხსოვნა, შენი სიყვარული, შენზე ფიქრი, თითოეული დღისა და შენი ხმის გახსენებალა მაცოცხლებს... მშვიდად განისვენე, დედის ტკივილო, სევდავ, მარადიულად სანუხარო...

შენი დედა ნანული გვირიტიშვილი

ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობა და ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულო სამძიმარს უცხადებს ზემფირა ღვინიაშვილს დის დალის გარდაცვალების გამო.

დალი პეტრიაშვილის ბახსენება

იმვითა ადამიანი, დედასავით ახლობელი და მანუგეშებელი, საყვარელი, პატივსაცემი, მაშინაც კი, როცა ის ამ ქვეყნად აღარ არის და მონატრება სულს გიკანრავს... ასეთი იყო დალი პეტრიაშვილი, რძალსა და ქალიშვილს ერთმანეთისაგან არ გვარჩევდა, ერთნაირად ვუყვარდით, ერთნაირად ზრუნავდა, ერთნაირად ანუხებდა ჩვენი პრობლემები. ბუნებით დინჯი, მშვიდი, კდემამოსილი, რაჭველობიდანაც მოსდგამდა, როგორც თვითონ ხუმრობდა ხოლმე და გულიდანაც, რომელიც სიკეთით ჰქონდა სავსე.

მთელი ცხოვრება საყვარელ პროფესიას მიუძღვნა, ქიმიას ასწავლიდა ახალგორის №1 საშუალო სკოლაში. თავად მასწავლებლების ოჯახში დაბადებულმა და გაზრდილმა კარგად იცოდა მოსწავლის სულში ჩახედვა, მეგობრობა, პრობლემების ერთად გადაწყვეტა. ყოველ დღით განსაკუთრებული განწყობით მიუხაროდა სკოლისკენ, სახლში დაბრუნებულიც სიყვარულით და მზრუნველობით საუბრობდა მათზე, არცერთ მშობელთან აუგად არ მოიხსენიებდა ყველაზე ცელქ და ონავარ ბავშვსაც კი, პირიქით, დედას დაამშვიდებდა, იმედიანად გაისტუმრებდა... სწორედ მასზე იყო ნათქვამი, მასწავლებელი არ შეიძლება გახდეს, მასწავლებლად უნდა დაიბადო და მასწავლებლად დაბადებულმა მართლაც დიდებულმა ქალბატონმა ნათელი კვალი დატოვა ახალგორელთა ხსოვნაში თითქმის ნახევარსაუკუნოვანი პედაგოგიური მოღვაწეობით, ახალგორელთა მრავალი თაობის აღზრდით...

ოჯახში მუდამ განონასწორებული, ფუსფუსა, მოსიყვარულე ბრძანდებოდა... დედასავით იცოდა ჩემთან საუბარიც, დამოკიდებულებაც, გულის სატკენს არაფერს ეტყოდა არავის არასოდეს.

ასაკით პატარა გაგხდი დედა და თითქმის ჩემს შვილებთან ერთად გავიზარდე მის გვერდით... ბევრი ლამაზი, თბილი და სასიამოვნო მოგონებით ვიხსენებთ მის იუბილევს სხვადასხვა წლებში, თუმცა ხმაური და გაზვიადებული არაფერი უყვარდა...

დღეს მისი დაბადების დღეა და სევდა მომეძალა... რა არ გავიხსენებთ ოჯახში მისი კარგი ქალობის შესახებ და ეს სტრიქონებიც გულწრფელი სიყვარულით დავწერე...

ნინო ოდიშვილი

(1 დესეტინა ძველ რუსეთში 1, 09 ჰექტარს უდრიდა) ნავთობიანი მინა გაქვთ ბაქოში.“ ქეთევანს საშუალება მიეცა ვალებიც გაესტუმრებინა, მემკვიდრეებსაც დახმარებოდა და ასი თუმანი ქართული დრამატული საზოგადოებისთვისაც შეეწირა. „მაშინდელი საზოგადო ცხოვრებისთვის დიდად მნიშვნელოვანი“ ეს ასი თუმანი, ქეთევანის იმ დროინდელ ქონებასთან შედარებით „ზღვაში ერთი წვეთი“ ყოფილა...

დაბოლოს ისევ აკაკი: „კნენინა ქეთევანი“, რომ ახსენებდნენ, მთელმა აღმოსავლეთ ქართველობამ იცოდა, თუ ვინ იყო ის „ქეთევანი“... დიდი პოეტი „კნენინა ქეთევანს“,

იმ ძველი დიდების უკანასკნელ „ნიშთაგანად“ მიიჩნევდა, „რომელთაც დღეს ველარა ვხედავთ და რომელთა თვისებას შეადგენდა მახვილი და გამჭრიახი გრძნობა-გონება, ხასიათის სიმტკიცით დაგვირგვინებული“.

ქეთევან ერისთავი 1897 წელს 91 წლის ასაკში გარდაიცვალა. დაკრძალულია მეუღლის - მაკარ ორბელიანის გვერდით სიონის ტაძარში. თუმცა მისი ნატვრა ყოფილა ქსნის ერისთავთა საგვარეულო სამარხში - იკორთის მონასტერში დაეკრძალათ, რომელიც დღეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარეობს.

მოჭიდავეებმა გასასხლავს

ქსნისხეობელებს ლამაზი ტრადიცი გვექონდა, – სხვადასხვა ტრადიციულ დღესასწაულზე ყოველთვის ტარდებოდა ტურნირები ჭიდაობაში, დოღში, სხვა სპორტულ სახეობებში.

ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება. ახალგორის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლა (ხელმძღვანელი ელგუჯა ოდიშვილი) დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ბავშვთა და მოზარდთა ვარჯიშს და მათ მონაწილეობას სხვადასხვა ასპარეზოებში. ახლახან ბოლნისში ჩატარდა მე-18 საერ-



თემო მილაძე



დავით ფიცხელაური

სპორტსკოლის ბავშვებმა, ასევე, მონაწილეობა მიიღეს წყნეთში ჩატარებულ გივი სულაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირში, სადაც მესამე ადგილი აიღო დავით ფიცხელაურმა.

ახალგაზრდა მოჭიდავეები აქტიურ ვარჯიშს განაგრძობენ მწვრთნელებთან გიორგი ფიცხელაურთან და დავით ილურიძესთან ერთად.



ბიორბი ფიცხელაური და თემო მილაძე

თაშორისო ტურნირი ძიუდოში ანზორ მარგველანის სახელობის თასზე, სადაც აქტიურად მონაწილეობდნენ ახალგორელი ბავშვები სხვადასხვა წონით კატეგორიაში. ახალგორელები გვასახელა და პირველი ადგილი აიღო თემურ მილაძემ (მწვრთნელი გიორგი ფიცხელაური).

ახალგორელი „მართვე“



ტარიელ მაჭარაშვილს ძალიან უყვარს სიმღერა. მეხუთე წელია ცნობილ ანსამბლში „მართვე“ მღერის და წარმატებით გამოდის გუნდთან ერთად სხვადასხვა კონცერტებსა და ფესტივალებზე.

ახლახან ანსამბლი მიწვეული იყო გიორგი გაბუნიას გადაცემაში. ტარიელის სიხარული და წარმატება თითოეულ ახალგორელს ახარებს და სიამაყით ავსებს.